

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №21

ქ. მარტვილი

07 ნოემბერი, 2022 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე დამთავრდა 14:00 სთ-ზე

**სხდომას ესწრებოდნენ:** ლევან სურმავა, ელდარი თოდუა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენია, ზურაბ მელიავა, ელიზბარ ახვლედიანი, შალვა ბახია, ნათია ბჟალავა, ირაკლი დიხამინჯია, მინდია გაბისონია, ჯამბულ ხუროძე, გიორგი კოკაია, გიორგი ჯიჯელავა, ბექარ კუკანია, შალვა თაფლაძე, ზაზა რუხაია, მაია გაწერელია, მიხეილ ნაჭყებია, ზაურ ჯახუა, ელენე კოკაია, ნათია ქაჯაია, აკაკი ხუნწელია.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23-მა წევრმა.

ასევე ესწრებოდნენ: დათო გეგეჭკორი-მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის მ/შ, ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ, ნუგზარ ცანავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

დღის წესრიგთან დაკავშირებით რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23-მა წევრმა.

სხდომას თავმჯდომარეობდა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან სურმავა.

**მოისმინეს 1:** საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ .

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე,

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 23, წინააღმდეგი 0.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2022 წლის 7 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 ნოემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 ნოემბრის განკარგულება №68 სხდომის ოქმს თან ერთვის.

**დღის წესრიგი:**

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;  
/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/

2. „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;  
/მომხსენებლები-ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/მ/
3. „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;  
/მომხსენებელი-დათო გეგეჭკორი, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის მ/მ/
4. „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 ოქტომბრის №64 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;  
/მომხსენებელი-დათო გეგეჭკორი, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის მ/მ/
5. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ: [41.18.37.164](#) ქონების, სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;  
/მომხსენებელი-დათო გეგეჭკორი, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის მ/მ/
6. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს.კ: 41.06.37.105 (ფართობი 11 კვ.მ) ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (1870 ლარი) 5%-ის ოდენობით განსაზღვრაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;  
/მომხსენებელი-დათო გეგეჭკორი, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის მ/მ/
7. 2023 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების მოწონებისა და ინიცირების შესახებ;  
/მომხსენებელი-ნუგზარ ცანავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/მ/
8. სხვადასხვა.

მე-2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23-მა წევრმა.

**მოისმინეს 2.** მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/მ/ ბონდო თოფურიას მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 16 სექტემბრის №1694 განკარგულებით მარტვილის მუნიციპალიტეტს მიეცა თანხმობა, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №2752 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი 7562 ლარი, 2020 წლის 5 მარტის №455 განკარგულების ნაშთი 16938 ლარი და 2021 წლის 5 თებერვლის N168 განკარგულების ნაშთი 111440 ლარი, ჯამში 135940 ლარი მიმართოს მარტვილის

მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურასა და სოფელ ტალერში წყალმომარაგების სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაფინანსებლად 125941 ლარი და 9999 ლარი მიიმართოს სოფელ დიდიჭყონის მე-19, მე-20, 21-ე და 22-ე ქუჩებზე გარე განათების მოწყობის სამუშაოების დასაფინანსებლად.

აქედან გამომდინარე გაიზარდოს მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები და მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის შემოსულობები განისაზღვრა 20790847 ლარით, ხოლო გადასახდელები 23897606 ლარით.

სხდომის თავჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 23, წინააღმდეგი 0.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს, „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი წარმოდგენილი სახით.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 ნოემბრის დადგენილება №25 სხდომის ოქმს თან ერთვის.

მე-3 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23 -მა წევრმა.

**მოისმინეს 3.** მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის მ/შ-ის დათო გეგეჭკორის მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ აღნიშნულ ნუსხას ემატება მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მშვიდობის ქუჩაზე მდებარე არასასოფო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს.კ 41.09.39.751.

სხდომის თავჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვას:** ელდარ თოდუამ დასვა კითხვა, რატომ არ ხდება ჩვენს მიერ დამტკიცებული საპრივატიზაციო ობიექტების აუქციონზე გატანა, თუ არ ყიდით მაშინ რატომ გასწიეთ ამდენი ხარჯი აღნიშნული ობიექტების საპრივატიზაციოდ მომზადებაში.

რასთან დაკავშირებითაც დავით გეგეჭკორმა უპასუხა, რომ ამ დღეებში მოხდება საპრივატიზაციო ობიექტების, კერძოდ ავტომანქანებისა და ჯართის აუქციონზე გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 23, წინააღმდეგი 0.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი წარმოდგენილი სახით.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022

წლის 11 თებერვლის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 ნოემბრის განკარგულება №69 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მე-4 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23 -მა წევრმა.

**მოისმინეს 4.** მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის მ/შ-ის დათო გეგეჭკორის მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 ოქტომბრის №64 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ საკითხი ეხებოდა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბანძას ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული უძრავ ქონების (ს.კ 41.04.32.497) საპრივატიზაციო გეგმაში შეტანას, აქვე აღნიშნა, რომ აღნიშნული უძრავი ქონება შეტანილია საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში, აღნიშნული ობიექტის საწყისი საპრივატიზაციო ღირებულება განისაზღვრა 2000 ლარით.

სხდომის თავჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავჯდომარემ აღნიშნული საკითხი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 23 , წინააღმდეგი 0.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს, „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 ოქტომბრის №64 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი წარმოდგენილი სახით.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 ოქტომბრის №64 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 ნოემბრის განკარგულება №70 სხდომის ოქმს თან ერთვის.

მე-5 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23 -მა წევრმა.

**მოისმინეს 5.** მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის მ/შ-ის დათო გეგეჭკორის მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ: [41.18.37.164](#) ქონების, სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ საკითხი ეხებოდა კიწიას ად. ერთეულში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ამზულატორ) სახელმწიფოზე საკუთრებაში გადაცემას.

სხდომის თავჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავჯდომარემ აღნიშნული საკითხი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 23 , წინააღმდეგი 0.



**დაადგინეს:** მიეცეს თანხმობა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ: [41.18.37.164](#) ქონების, სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.

/,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ: [41.18.37.164](#) ქონების, სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 ნოემბრის განკარგულება №71 სხდომის ოქმს თან ერთვის.

მე-6 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23 -მა წევრმა.

**მოისმინეს 6.** მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის მ/შ-ის დათო გეგეჭკორის მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს.კ: 41.06.37.105 (ფართობი 11 კვ.მ) ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (1870 ლარი) 5%-ის ოდენობით განსაზღვრაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და სთხოვა საკრებულოს წევრებს მხარი დაეჭირათ წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე.

სხდომის თავჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავჯდომარემ აღნიშნული საკითხი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 23 , წინააღმდეგი 0.

**დაადგინეს:** მიეცეს თანხმობა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს.კ: 41.06.37.105 (ფართობი 11 კვ.მ) ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (1870 ლარი) 5%-ის ოდენობით განსაზღვრაზე.

/,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს.კ: 41.06.37.105 ( ფართობი 11 კვ.მ) ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (1870 ლარი) 5%-ის ოდენობით განსაზღვრაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 ნოემბრის განკარგულება №72 სხდომის ოქმს თან ერთვის.

მე-7 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა.

**მოისმინეს 7.** მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ-ის ნუგზარ ცანავას მოხსენება, „2023 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების მოწონებისა და ინიცირების შესახებ“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო 2023 წელს მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტები.

პროექტები ხორციელდება: ნაგვაზაოს ადმინისტრაციულ ერთეულში, გურძემის ადმინისტრაციულ ერთეულში, ვედიდკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, აბედათის ადმინისტრაციულ ერთეულში, დიდი ჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბანძას ადმინისტრაციულ ერთეულში და ქ.მარტვილში ბამალუას ქუჩაზე, ნაგვაზაოს ადმინისტრაციულ ერთეულში, ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულსა და ქ. მარტვილში, ჩიქვანაიასა და ძამამიას ქუჩაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვას:** აკაკი ხუნწელიამ განაცხადა, რომ ის მიესალმება აღნიშნულ პროექტებს, თუმცა ვერ დაუჭერს მხარს წარმოდგენილ საკითხს, რადგან აღნიშნულ ჩამონათვალში არ შედის პრიორიტეტით უპირატესი ქუჩები, კერძოდ, ის იმყოფებოდა ქ.მარტვილში თ.წოწორიას ქუჩაზე და იქ ფეხით გავლა წვიმიან ამინდში შეუძლებელია და ამ კუთხით უკმაყოფილოა ადგილობრივი მოსახლეობა, მას მიაჩნია რომ ქ. მარტვილში არსებული ქუჩების რეაბილიტაცია უპირატეს პრიორიტეტად მიაჩნია, ვინაიდან წარმოდგენილ პროექტში გზის ეს მონაკვეთი არ შედის ის წარმოდგენილ პროექტს მხარს ვერ დაუჭერს.

ასევე უკმაყოფილება გამოთქვა ელდარი თოდუამ, რომელმაც აღნიშნა, რომ გარკვეულ სოფლებში მოხდა გზის სავალი ნაწილების რაღაც ნაწილის დაპროექტება და შემდგომ ისევ გვიწევს დარჩენილ ნაწილზე პროექტის დამტკიცება, ანუ ნაწილ-ნაწილ ხდება გზის კეთილმოწყობა, ნაცვლად იმისა, რომ მოხდეს გზის სავალი ნაწილის ერთდროულად მოწესრიგება, აქედან გამომდინარე წარმოდგენილ პროექტს მხარს არც ის დაუჭერს.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 20, წინააღმდეგი 0.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს „2023 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების მოწონებისა და ინიცირების შესახებ“ საკითხი წარმოდგენილი სახით.

/,2023 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების მოწონებისა და ინიცირების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 ნოემბრის განკარგულება №73 სხდომის ოქმს თან ერთვის./

**სხვადასხვა 8.** მოისმინეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიული საკითხთა კომისიის თავმჯდომარის კახაბერ ჯგერენაიას ინფორმაცია.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ მას განცხადებით მიმართა აკაკი ხუნწელიამ და გელა ნაჭყებამ, რომლის თანახმადაც მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში „მარტვილი საქართველოსათვის“ განხორციელდა შემდეგი ცვლილება: 2022 წლის 13 ოქტომბრიდან ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულია აკაკი ხუნწელია, ხოლო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ გიორგი ხორავა. აღნიშნული მომენტიდან თანამდებობრივი უფლებამოსილება შეუწყდა შალვა თაფლაძეს.

ასევე მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ევროპელი სოციალისტები“ წევრის მიხეილ ნაჭყებიას გადაწყვეტილება ამავე ფრაქციის დატოვების შესახებ.

აღნიშნული გადაწყვეტილებები საკრებულომ მიიღო ცნობად.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „მარტვილი-საქართველოსთვის“ რეგისტრაციის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 ნოემბრის №74 განკარგულება სხდომის ოქმს თან ერთვის./

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ლევან სურმავა